

უპირატესობა შედეგია ცოდნისა!



ნ ე ღ ნ ი ს ა

ა უ ღ ი ტ უ რ ი კ ო ნ ც ე რ ნ ი

შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2025 წელი

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	2
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	9
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	10
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	11
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12
1. კომპანია და მისი საქმიანობა	12
2. კომპანიის საოპერაციო საქმიანობა	14
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	14
4. ძირითადი საშუალებები	23
5. გაცემული სესხები	25
6. მარაგები	25
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25
8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	25
9. კაპიტალის მართვა	26
10. სასესხო ვალდებულებები	26
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27
12. ამონაგები	28
13. ფინანსური ხარჯი (შემოსავალი)	28
14. საკურსო სხვაობა	29
15. სხვა ხარჯი	29
16. არასაოპერაციო ხარჯი (შემოსავალი)	30
17. ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილ ფულადი ნაკადებთან – სესხები და პროცენტები	30
18. შესადარისი პერიოდის ცვლილებები	30
19. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება	31
20. რისკების მართვა	31
21. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	34
22. გაუთვალისწინებელი გარემოებები	34
23. პირობითი ვალდებულებები	35
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	35
25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	35

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დამტკიცებულია 2025 წლის 10 ნოემბერს:

დირექტორი

----- მზია ჯაფარიძე

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემის“ პარტნიორებსა და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემის“ (შემდეგში - „კომპანია“) (კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405064594) 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ – ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში ვერ მოხერხდა საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების მოპოვება, რომ დაგვედასტურებინა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხის თანხის აღიარების საკითხი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხის ნაშთი შეადგენდა 309 ათას ლარს, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 286 ათას ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 278 ათას ლარს. აღნიშნული სესხის დაფარვის ვადა დამდგარია, თუმცა ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისაგან დასტურის წერილი და ვერც ალტერნატიული გზებით შევძელით აღნიშნული თანხის დადასტურება. ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რამე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ სასესხო მოთხოვნებთან და მასთან დაკავშირებულ ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში ვერ მოხერხდა საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების მოპოვება, რომ დაგვედასტურებინა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნებში ფიზიკური პირების დავალიანებების აღიარების საკითხი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფიზიკური პირების დებიტორული დავალიანების ნაშთი შეადგენდა 855 ათას ლარს, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 752 ათას ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 517 ათას ლარს. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისაგან დასტურის წერილი და ვერც ალტერნატიული გზებით შევძელით აღნიშნული თანხის დადასტურება. ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რამე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ სავაჭრო მოთხოვნებთან და მასთან დაკავშირებულ ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის განთავსებული კაპიტალი შეადგენს 4,575 ათას ლარს. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი მოითხოვს, რომ განთავსებული კაპიტალი რეგისტრირებული უნდა იყოს სამეწარმეო რეესტრში, თუმცა კომპანიას არ აქვს ის რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში და 2024 წლის 27 დეკემბრის ამონაწერში მითითებული აქვს, რომ არც ნებადართული და არც განთავსებული კაპიტალი განსაზღვრული არ არის. ეს შეუსაბამობა სააღრიცხვო მონაცემებთან არ არის განმარტებული კომპანიის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერმოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების „3.1“ განმარტებით შენიშვნაზე, რომელიც ეხება საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპთან დაკავშირებულ განუსაზღვრელობას. ამ შენიშვნაში აღნიშნული გარემოება - კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებების აღმატების ფაქტი მისავე მიმდინარე აქტივებზე, ასევე კომპანიის მიმდინარე პერიოდის ზარალი მიუთითებს განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუმცა, კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მართებულია საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენება, რადგან კომპანია სრულფასოვნად აგრძელებს საოპერაციო საქმიანობას და მომდევნო 12 თვის განმავლობაში არ ემუქრება სამედიცინო საქმიანობის შეწყვეტის საფრთხე. კომპანიის ფუნქციონირებადობა ასევე დასტურდება იმით, რომ 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის უკვე გასულია 10 თვეზე მეტი საანგარიშგებო თარიღიდან და მუშაობა შეუფერხებლად გრძელდება. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას;

ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას;

გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას.

აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოადგენს მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობის შესახებ

კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია ამავე საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი

შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
გვერდი 5

მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი – საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“
საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

10 ნოემბერი 2025 წელი

შპს პინეო სამედიცინო ეკოსისტემა
ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022	შენიშვნა
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	25 485	26 250	26 634	4
არამატერიალური აქტივები	52	53	53	
სულ გრძელვადიანი აქტივები	25 537	26 302	26 687	
მოკლევადიანი აქტივები				
გაცემული მოკლევადიანი სესხები	309	286	278	5
მარაგები	1 030	956	881	6
სხვა მიმდინარე აქტივები	12	19	21	
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	4 530	3 698	4 039	7
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	590	254	472	8
სულ მოკლევადიანი აქტივები	6 470	5 213	5 690	
სულ აქტივები	32 008	31 516	32 378	
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი				
განთავსებული კაპიტალი	4 575	537	537	9
დამატებითი შენატანები კაპიტალში	746	665	635	9
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	(2 166)	(727)	2 164	
სულ საკუთარი კაპიტალი	3 154	476	3 336	
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	16 316	16 937	18 267	10
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	16 316	16 937	18 267	
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	1 054	1 886	1 247	10
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11 483	12 218	9 527	11
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	12 538	14 104	10 774	
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	32 008	31 516	32 378	

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 10 ნოემბერს:

დირექტორი ----- მზია ჯაფარიძე

თანდართული შენიშვნები მე-12-დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს პინეო სამედიცინო ეკოსისტემა
ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2024 წელი	2023 წელი	შენიშვნა
ამონაგები	22 558	18 593	12
სულ შემოსავალი	22 558	18 593	
შრომის ანაზღაურება	(13 514)	(11 324)	
სამედიცინო საქონელი	(3 871)	(3 281)	
პაციენტების კვების ხარჯი	(371)	(354)	
ცვეთა და ამორტიზაცია	(1 811)	(1 786)	
საექვო ვალების ხარჯი	(176)	(118)	
სამედიცინო მომსახურება	(670)	(895)	
ფინანსური ხარჯი (შემოსავალი)	(1 866)	(2 355)	13
საკუროსო სხვაობა	87	(276)	14
სხვა ხარჯი	(2 237)	(2 434)	15
არასაოპერაციო ხარჯი (შემოსავალი)	431	1 339	16
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე	(23 997)	(21 484)	
მიმდინარე წლის მოგება / (ზარალი)	(1 439)	(2 891)	
სულ მიმდინარე წლის სრული შემოსავალი / (ზარალი)	(1 439)	(2 891)	

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 10 ნოემბერს:

დირექტორი ----- მზია ჯაფარიძე

თანდართული შენიშვნები მე-12-დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს პინეო სამედიცინო ეკოსისტემა

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	განთავსებული კაპიტალი	დამატებითი შენატანები კაპიტალში	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	537	635	2 164	3 336
კაპიტალის ზრდა/(კლება)	-	31	-	31
2023 წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	-	-	(2 891)	(2 891)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	537	665	(727)	476
კაპიტალის ზრდა/(კლება)	4 038	80	-	4 118
2024 წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	-	-	(1 439)	(1 439)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	4 575	746	(2 166)	3 155

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 10 ნოემბერს:

დირექტორი ----- მზია ჯაფარიძე

თანდართული შენიშვნები მე-12-დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს პინეო სამედიცინო ეკოსისტემა
ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2024 წელი	2023 წელი	შენიშვნა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	20 900	18 013	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(6 817)	(4 967)	
გაცემული შრომის ანაზღაურება	(10 588)	(8 058)	
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(3 220)	(1 685)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(31)	(50)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი/(კლება) საოპერაციო საქმიანობიდან	244	3 253	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა	(1 254)	(1 575)	
სესხების გაცემა	-	(49)	
გაცემული სესხების დაბრუნება	-	49	
მიღებული პროცენტები	13	8	
სხვა შემოსულობანი / განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	406	1 245	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი/(კლება) საინვესტიციო საქმიანობიდან	(835)	(322)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
შემოსულობანი პარტნიორთა მიერ კაპიტალის ზრდისაგან	4 118	31	
სესხების აღება	219	128	17
სესხების დაფარვა	(1 539)	(1 075)	17
გადახდილი პროცენტები	(1 876)	(2 230)	17
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი/(კლება) საფინანსო საქმიანობიდან	922	(3 146)	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	4	(2)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი/(კლება):	335	(217)	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	255	472	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	590	255	

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 10 ნოემბერს:

დირექტორი ----- მზია ჯაფარიძე

თანდართული შენიშვნები მე-12-დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“ (ს/ნ 405064594) დაფუძნდა 2014 წლის 2 ოქტომბერს (თავდაპირველი სახელწოდება - შპს „პირველი კომპანია“), ხოლო 2015 წლის 10 სექტემბერს განახორციელა შერწყმა შპს „შალვა ქორძის სახელობის სამშობიარო სახლთან“.

კომპანიის დირექტორი 01.01.2024 წ. მდგომარეობით იყო კახა ნურალიძე, ხოლო კომპანიის 31.12.2024 წ. მდგომარეობით და წინამდებარე ანგარიშგების წარდგენის დღისთვის მზია ჯაფარიძე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დღისთვის - მზია ჯაფარიძე.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, გორგასლის ქ., №93.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო მომსახურება. კომპანიის მომხმარებელთა უმრავლესობას წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეები.

პინეო სამედიცინო ეკოსისტემა არის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი, რომელიც 2016 წლიდან ფუნქციონირებს ყოფილი მეოთხე სამშობიარო სახლის ბაზაზე და ემსახურება ყველა სამედიცინო საჭიროების მქონე პაციენტს. კლინიკა წარმოადგენს მეოთხე დონის დაწესებულებას და აერთიანებს:

- მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას
- უახლეს, მაღალტექნოლოგიურ სერვისებს
- გამოცდილ ექიმებს, მედდებსა და დამხმარე პერსონალს

2022 წლიდან კლინიკა საზოგადოებას წარუდგა როგორც გრიგოლ რობაქიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა.

ჰოსპიტალი მოიცავს ორ დამოუკიდებელ, ერთმანეთთან დაკავშირებულ შენობას, 10,000 კვადრატულ მეტრზე მეტ ფართობს, სივრცე მოიცავს:

- მრავალპროფილურ ამბულატორიულ და სტაციონარულ განყოფილებებს
- ინტენსიური თერაპიისა და რეანიმაციის ბლოკებს
- ახალშობილთა ინტენსიური მოვლის განყოფილებას
- მაღალტექნოლოგიურ ლაბორატორიას 24/7 მომსახურებით
- საოპერაციო ბლოკებს, რომლებიც აღჭურვილია უახლესი აპარატურით
- კომფორტულ პალატებსა და საოჯახო ტიპის სამშობიაროს – „პინეო ლაქმერი“.

2022 წელს გაიხსნა სრულად აღჭურვილი ახალი კორპუსი საერთო ფართობით – 5000 კვ.მ, რომლის მშენებლობაც მიმდინარეობდა 2019 წლიდან. ახალმა კორპუსმა კომპანიას მისცა შესაძლებლობა როგორც არსებული სერვისების გაფართოების, ასევე ახალი მიმართულებების დამატების. 2022 წლის ივნისის თვიდან ფუნქციონირება დაიწყო თანამედროვე აპარატურით და ინფრასტრუქტურით აღჭურვილმა კორპუსმა, სადაც მე-6 სართულზე განთავსდა კლინიკის ახალი მიმართულება – კლინიკური ონკოლოგია.

კლინიკამ 2024 წელს წარმატებით გაიარა Accreditation Canada-ის საერთაშორისო შეფასების უმნიშვნელოვანესი პროცესი და მიენიჭა პლატინის სტატუსი – რაც ჯანდაცვის სფეროში უმაღლეს საერთაშორისო აღიარებას ნიშნავს.

კომპანიის მესაკუთრეებს წარმოადგენენ:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

იაგორ კალანდაძე - 6.7% (საქართველო),

ავთანდილ იმედაძე – 6% (საქართველო),

ალექსანდრე ცისკარიძე – 13.5% (საქართველო),

ანდრო ძნელაძე – 8% (საქართველო),

ვილიამ ტომას იპსენი – 5.8% (აშშ),

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი - 55% (საქართველო),

ამარეშ პანდა - 5% (ინდოეთი).

2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით:

იაგორ კალანდაძე – 6.7% (საქართველო),

ავთანდილ იმედაძე – 6% (საქართველო),

ალექსანდრე ცისკარიძე – 13.5% (საქართველო),

ანდრო ძნელაძე – 8% (საქართველო),

არმაზ თავაძე – 15% (საქართველო),

ვილიამ ტომას იპსენი – 5.8% (აშშ),

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი – 40% (საქართველო),

ამარეშ პანდა – 5% (ინდოეთი).

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ზაზა სინაურიძე - 12.6% (საქართველო),

იაგორ კალანდაძე – 12.6% (საქართველო),

ავთანდილ იმედაძე – 5% (საქართველო),

ალექსანდრე ცისკარიძე – 16% (საქართველო),

ანდრო ძნელაძე – 8% (საქართველო),

არმაზ თავაძე – 15% (საქართველო),

ვილიამ ტომას იპსენი – 5.8% (აშშ),

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი – 20% (საქართველო),

ამარეშ პანდა – 5% (ინდოეთი).

2. კომპანიის საოპერაციო საქმიანობა

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ზოგჯერ წარმოშობს საკამათო საკითხებს სახელმწიფო ორგანოებსა და მოქმედ კომერციულ საწარმოებს შორის.

კომპანიის ხელმძღვანელობას არ შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს ყველა ის მოვლენა, რამაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და განსაზღვროს, თუ საბოლოოდ რა ზეგავლენას მოახდენს ეს – ან საერთოდ მოახდენს თუ არა რამე ზეგავლენას – კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე.

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი ყველა საჭირო ღონისძიებას ატარებს კომპანიის მდგრადობისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ქვემოთ.

3.1. მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების* (ფასს-ები) შესაბამისად პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

გათვალისწინებულია „ფასს“-ების ძირითადი დაშვება – ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ ახლო მომავალში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა, მიუხედავად იმისა, რომ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოკლევადიანი ვალდებულებები აჭარბებს მის მიმდინარე აქტივებს და კომპანიამ მიმდინარე წელი დაასრულა ზარალით. კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მართებულია საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენება, რადგან კომპანია სრულფასოვნად აგრძელებს საოპერაციო საქმიანობას და საანგარიშგებო თარიღიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში არ ემუქრება სამედიცინო საქმიანობის შეწყვეტის საფრთხე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კლინიკას აქვს უმაღლესი, მე-3 დონის პერინატალური ცენტრის სტატუსი. კომპანია ჩართულია საყოველთაო ჯანდაცვის DRG სისტემაში და არის ყველა სადაზღვევო კომპანიის პროვაიდერი. ამასთან, არ შეინიშნება არანაირი კლებადი ტენდენცია, მომგებიანობის თვალსაზრისით კი მიმდინარე პერიოდში ფინანსური მონაცემები გაუმჯობესებულია წინა პერიოდების მონაცემებთან შედარებით. აღნიშნული მონაცემები გვაძლევს იმის პროგნოზის საშუალებას, რომ მომავალ პერიოდებშიც გაგრძელდება მზარდი ტენდენცია. ხარჯების ოპრიმიზაციის ფარგლებში მიმდინარეობს მედიკამენტებისა და სახარჯი მასალების მონიტორინგი. ასევე, მუშავდება ახალი სახელფასო სქემა, რომელიც მიზნად ისახავს სამედიცინო პერსონალის მოტივაციის

ზრდასა და კლინიკის ოპერაციული შედეგების გაუმჯობესებას. კლინიკის ახალი კორპუსის ფუნქციონირება წარმატებით მიმდინარეობს, რაც უზრუნველყოფს სერვისების მოცულობის ზრდას და პაციენტების რაოდენობის სტაბილურ მატებას. ყოველწლიურად ხორციელდება ახალი სამედიცინო მიმართულებების განვითარება, ინვესტიცია თანამედროვე ტექნოლოგიებსა და სპეციალისტების მოძიებაში. 2025 წლის მესამე კვარტალში დასრულდა „ა“ კორპუსის მეოთხე სართულის რემონტი, იგეგმება მისი დატვირთვა ახალი მიმართულებებით, რომლებიც შემოსავლის და შესაბამისად, მოგების ახალი წყარო იქნება. კომპანიის ფუნქციონირებადობა ასევე დასტურდება იმით, რომ 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის უკვე გასულია 10 თვეზე მეტი საანგარიშგებო თარიღიდან და მუშაობა შეუფერხებლად გრძელდებოდა 2025 წლის 10 თვის განმავლობაში.

წარსადგენი ვალუტა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1000 (ერთი ათასი) ლარის სიზუსტით.

3.2. უცხოური ვალუტა

(ა) ფუნქციური (სამუშაო) და წარსადგენი ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების შემავალი ანგარიშები განსაზღვრულია ეკონომიკური გარემოზე, სადაც კომპანია ოპერირებს (ფუნქციური ანუ სამუშაო ვალუტა, რომელიც არის ქართული ლარი). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა.

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ლარი / 1 USD	2.8068	2.6894	2.7020
ლარი / 1 EUR	2.9306	2.9753	2.8844
ლარი / 1 GBP	3.5349	3.4228	3.2581
ლარი / 10 CNY	3.8452	3.7819	3.9063

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

	2024	2023
ლარი / 1 USD	2.7208	2.6279
ლარი / 1 EUR	2.9440	2.8416
ლარი / 1 GBP	3.4772	3.2671
ლარი / 10 CNY	3.7812	3.7124

(ბ) ტრანზაქციები და ნაშთები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით, ქართულ ლარში. უცხოური ვალუტით მიღებული მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე, წარმოადგენს, პერიოდის დასაწყისში არსებული, ეფექტური საპროცენტო განაკვეთითა და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული მოქმედი ვალუტის ამორტიზირებული ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში

გამოსახული ამორტიზებული ღირებულების სხვაობას. არაფულადი აქტივები, რომელთა პირვანდელი ღირებულება უცხოურ ვალუტაშია, გადმოიყვანება მოქმედ ვალუტაში ოპერაციის მოხდენის თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალში.

3.3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. თვითწარმოებული აქტივების ღირებულება შეიცავს პირდაპირი შრომისა და გამოყენებული მასალების ღირებულებას, ასევე აქტივის გამოყენებისათვის გამიზნულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დანახარჯს, ნივთების დემონტაჟისა და თავიანთი ადგილმდებარეობიდან ამოღების ღირებულებას. შეძენილი სისტემური უზრუნველყოფა, რომელიც კომპიუტერული აღჭურვილობის ფუნქციონირების განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზებული არის ამ აღჭურვილობის ნაწილად.

როდესაც ძირითადი საშუალებების ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა, და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/ სხვა ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აისახება საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლოს შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან, რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა იანგარიშება აქტივის ღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

კატეგორია

ვადა (წელი)

შენობა-ნაგებობები	25
სამედიცინო აპარატურა	10
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	10
სატრანსპორტო საშუალებები	10
სხვა ძირითადი საშუალებები	4-10

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

3.4. მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში მარაგების მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული მათი დასრულებისა და გაყიდვის ხარჯები.

3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის თანხები, რომლებიც მისაღებია მომხმარებლისგან მომსახურეობისა თუ საქონლის მიწოდების სანაცვლოდ ჩვეულებრივ ბიზნესის კურსის ფარგლებში. თუ მისაღები თანხების შეგროვება მოსალოდნელია ერთ წელში ან ნაკლებში, ისინი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები. თუ არა, წარმოდგენილი იქნება როგორც გრძელვადიანი აქტივები. ამჟამად, კომპანიის მოთხოვნები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივებად, რადგან მათი მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ფარგლებში.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების ზარალი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით. 1 წლით ან მეტი ვადით გადაუხდელობა სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურებული ზარალი აღიარდება 100%-ის ოდენობით, ხოლო სხვა სავაჭრო მოთხოვნებზე – 5%-დან 50%-მდე, თანხის გადაუხდელობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

3.6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში იგულისხმება ფული სალაროში, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

3.7 სესხები

სესხების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარიგების ხარჯების გამოკლებით. შემდგომში აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით; ნებისმიერი განსხვავება მიღებულ სესხსა (გარიგების ხარჯების გამოკლებით) და გამოსასყიდ ღირებულებას შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პერიოდში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3.8. სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის გადასახდელი თანხები მომწოდებლების მიერ მოწოდებული საქონლისა თუ მომსახურებისთვის. სავაჭრო ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარე დავალიანებად, თუ გადახდა მოხდება ერთ წელში ან ნაკლებ დროში. თუ არა, მაშინ წარმოდგინდება როგორც გრძელვადიანი დავალიანება. ამჟამად, ყველა კომპანიის სავაჭრო დავალიანება მოსალოდნელია, რომ გადახდილი იქნება ერთი წლის ფარგლებში ბალანსის დღიდან და კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულება.

სავაჭრო დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

3.9 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი მოიცავს საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან სამართლიანი ღირებულებით ასახულ მიღებული ან მისაღებ ნეტო თანხებს დამატებული ღირებულების, უკან დაბრუნებების და ფასდათმობების გარეშე.

კომპანია შემოსავალს აღიარებს მაშინ, როდესაც თანხები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს, როცა სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში.

3.10. თანამშრომლების გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დასაქმებული

თანამშრომლები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს მათთვის საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა, გარდა კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო სადაზღვევო შენატანებისა.

3.11. ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

3.12. მოგების გადასახადი

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომელთათვისაც ეს დებულება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან, და ზოგიერთი სხვა გამონაკლისისა (ფინანსური დაწესებულებები: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები; აგრეთვე, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზატორი პირები).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2017-2024 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არ იბეგრებიან მოგების გადასახადით „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

3.13. აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

3.14. ხარჯების აღიარება

კომპანია ეწევა ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას.

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

3.15. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით.

ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი შეფასებისთვის/აღრიცხვისთვის კომპანია იყენებს ამორტიზებულ ღირებულებას.

კომპანიის მიზანია ფინანსური აქტივებიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება.

კომპანია ფლობს ორი ტიპის ფინანსურ აქტივს, რომელთათვისაც გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტები (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს, რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისთვის, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებითა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

დებიტორული სავაჭრო დავალიანების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს შესაბამისი მისაღები მოთხოვნების მიხედვით კუთვნილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ მიღებას.

ისეთი ოპერაციების შედეგად წარმოქმნილ სავაჭრო მოთხოვნებთან ან ან სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ფასს 15-ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება და ამასთან, ფასს 15-ის შესაბამისად არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს (ან როდესაც კომპანია იყენებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ხანგრძლივობა ერთი წელი, ან ერთ წელზე ნაკლებია), გაუფასურების ზარალის რეზერვი ყოველთვის ფასდება თანხით, რომელიც არსებობის

მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. 1 წლით ან მეტი ვადით გადაუხდელ სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურებული ზარალი აღიარდება 100%-ის ოდენობით, ხოლო სხვა სავაჭრო მოთხოვნებზე -5%-დან 50%-მდე, თანხის გადაუხდელობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე.

ვადაგადაცილების დღეები	0-90	91-180	181-270	271-365	>365
რეზერვის პროცენტული მაჩვენებელი	2%	10%	20%	50%	100%

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშზე.

გაუფასურებული მოთხოვნის ჩამოწერა აისახება არსებული გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე.

3.16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში.

3.17. ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

3.17.1. შემდეგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შევიდა ძალაში 2024 წლის 1 იანვრიდან, თუმცა მათ დანერგვას ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში. ფინანსური პირობების მექანე გრძელვადიანი ვალდებულებების შესწორებები ბასს 1-ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან).
- საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის პირობებში - ცვლილება ფასს 16 ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან).
- მომწოდებლის ფინანსირების გარიგებები - ცვლილება ბასს 7 და ფასს 7 ში - (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან).
- ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი).

3.17.2. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2027 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

• შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის):

დაემატა მოთხოვნები, რომლებიც დაეხმარება სუბიექტებს, განსაზღვრონ, შესაძლებელია თუ არა, ვალუტის სხვა ვალუტაში გაცვლა და რა კურსი უნდა გამოიყენონ გაცვლის შეუძლებლობის შემთხვევაში. ამ ცვლილებამდე ბასს 21 ასახავდა გაცვლითი კურსის გამოყენებას მაშინ, როდესაც გაცვლა დროებით არ იყო შესაძლებელი, მაგრამ არ განიხილავდა იმ შემთხვევას, როდესაც გაცვლის პრობლემა მუდმივი იყო.

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილებები – ცვლილებები ფასს 9 და ფასს 7-ში (ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან). ამ ცვლილებებში შედის:

- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და გაუქმების თარიღების დაზუსტება ახალი გამონაკლისით, რომელიც შეეხება ელექტრონული სისტემის მეშვეობით გადახდილ ზოგიერთ ფინანსურ ვალდებულებას.
- დამატებითი განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეფასდეს, შეესაბამება თუ არა ფინანსური აქტივი ძირისა და პროცენტის კრიტერიუმებს.
- ახალი განმარტებითი შენიშვნების დამატება გარკვეული ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც შეიცავს ისეთ პირობებს, რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ფულადი ნაკადი (მაგალითად: ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებსაც აქვთ გარემოს, სოციალური და მართვის მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული მახასიათებლები).
- განმარტებითი შენიშვნების განახლება აქციების ინსტრუმენტებისათვის, რომლებიც აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში.

ფასს 18: ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა და ინფორმაციის გამჟღავნება - მოთხოვნები:

- ახალი სავალდებულო ქვეჯამები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „საოპერაციო მოგების“ ჩათვლით;
- განმარტებითი შენიშვნები ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საქმიანობის ინდიკატორების შესახებ;
- გაფართოებული მითითებები ინფორმაციის დაჯგუფების შესახებ (აგრეგირებული და დეზაგრეგირებული).

ძალაში შესვლის თარიღი: წლიური ანგარიშგების პერიოდები იწყება 2027 წლის 1-ლ იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით.

ფასს 19: შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე

- ფასს 19 არის მხოლოდ გამჟღავნებასთან დაკავშირებული სტანდარტი. ის არ მოიცავს:
- აღიარების, შეფასების და წარდგენის მოთხოვნებს;
- მითითებებს გამჟღავნების მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებით;
- აღიარების, შეფასების და წარდგენის მოთხოვნებთან დაკავშირებით შვილობილი საწარმო იხელმძღვანელებს ფასს აღრიცხვის შესაბამისი სტანდარტით.

ძალაში შესვლის თარიღი: წლიური ანგარიშგების პერიოდები იწყება 2027 წლის 1-ლ იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ, ადრეული გამოყენების დაშვებით.

მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ჩვენი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შპს პინეო სამედიცინო ეკოსისტემა
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	დაუთავრებ ელი მშენებლობა	შენობები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და სამედიცინო ინვენტარი	სამედიცინო აპარატურა	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და ინვენტარი	სხვა ამორტიზირებ ადი ძირითადი საშუალებები	მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	გარე ტერიტორიის მოწყობა	ლიზინგით მიღებული აქტივები	სულ
პირვანდელი ღირებულება													
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის													
მდგომარეობით	3 958	13	18 304	43	631	6 858	487	354	234	647	123	1 444	33 107
დამატება	-	238	538	-	5	211	62	88	7	104	-	40	1 293
(გასვლა)	-	(238)	-	-	-	(10)	-	(0)	-	-	-	-	(248)
სულ პირვანდელი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 958	13	18 843	43	637	7 059	548	442	241	752	123	1 484	34 152
ცვეთა და გაუფასურება													
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის													
მდგომარეობით	-	-	(2 139)	(30)	(428)	(2 369)	(254)	(113)	(139)	(316)	(17)	(1 043)	(6 857)
ცვეთის და გაუფასურების ხარჯი	-	-	(736)	(1)	(60)	(625)	(82)	(33)	(16)	(92)	(12)	(152)	(1 810)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(2 875)	(31)	(488)	(2 994)	(336)	(146)	(155)	(408)	(30)	(1 195)	(8 667)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 958	13	15 967	12	149	4 066	212	296	86	344	94	289	25 485

შპს პინეო სამედიცინო ეკოსისტემა
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებ ელი მშენებლობა	შენობები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და სამედიცინო ინვენტარი	სამედიცინო აპარატურა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და ინვენტარი	სხვა ამორტიზირებ ადი ძირითადი საშუალებები	მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	გარე ტერიტორიის მოწყობა	ლიზინგით მიღებული აქტივები	სულ
პირვანდელი ღირებულება													
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3 958	65	18 188	43	630	6 065	440	261	227	481	123	1 455	31 946
დამატება	-	58	117	-	1	845	47	93	7	166	-	40	1 374
(გასვლა)	-	(110)	-	-	-	(53)	-	(0)	-	-	-	(51)	(214)
სულ პირვანდელი ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 958	13	18 304	43	631	6 858	487	354	234	647	123	1 444	33 107
ცვეთა და გაუფასურება													
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	(1 411)	(29)	(364)	(1 737)	(181)	(85)	(123)	(316)	(5)	(1 052)	(5 312)
ცვეთის და გაუფასურების ხარჯი	-	-	(729)	(1)	(64)	(631)	(73)	(28)	(17)	-	(12)	-	(1 554)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-	0	-	9	9
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(2 139)	(30)	(428)	(2 369)	(254)	(113)	(139)	(316)	(17)	(1 043)	(6 857)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 958	13	16 165	13	203	4 489	233	241	95	331	106	401	26 250
	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებ ელი მშენებლობა	შენობები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და სამედიცინო ინვენტარი	სამედიცინო აპარატურა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და ინვენტარი	სხვა ამორტიზირებ ადი ძირითადი საშუალებები	მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	გარე ტერიტორიის მოწყობა	ლიზინგით მიღებული აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 958	13	15 967	12	149	4 066	212	296	86	344	94	289	25 485
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 958	13	16 165	13	203	4 489	233	241	95	331	106	401	26 250
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 958	65	16 777	14	266	4 328	258	176	104	165	118	403	26 634

კომპანიის კუთვნილ უძრავ ქონებაზე წარმოშობილი აქვს იპოთეკის უფლება სს „თიბისი ბანკს“, აღნიშნული ბანკიდან მიღებული სესხის ხელშეკრულების საფუძველზე. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.18.09.006.018, მისამართი - ქ.თბილისი, გორგასლის ქუჩა #93, დაზუსტებული ფართობი 10,551 კვ.მ., შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: N1 საერთო ფართობით 4,230.94კვ.მ., N7 საერთო ფართობით 74.50 კვ.მ., სხვა ფართი: N2, N3, N4, N5, N6. იპოთეკის ხელშეკრულება N1231231060547, 30/06/2016, აღნიშნული ქონების საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 15,979 ათას ლარს.

5. გაცემული სესხები

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
შპს პინეო ლაქშარი (ს/ნ 405142331)_სესხის ძირი	105	101	101
შპს პინეო თიმი (ს/ნ 404564538)_სესხის ძირი	30	30	30
შპს პინეო ლაქშარი (ს/ნ 405142331)_დარიცხული პროცენტი	173	155	146
სულ გაცემული სესხები	309	286	278

6. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
სამედიცინო დანიშნულების საქონელი	995	936	842
სხვა მარაგები	35	20	38
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	1 030	956	881

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება ძირითად საქმიანობაში გახარჯვის შედეგად, თვითღირებულებით, რომელიც გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის მიხედვით.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	5 517	4 077	3 842
საექვო ვალუბის რეზერვი	(1 024)	(571)	(454)
გადახდილი ავანსები	37	192	651
სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	4 530	3 698	4 039

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ფული სალაროში	1	1	9
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	564	237	460
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	26	16	3
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	590	254	472

9. კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს განთავსებულ კაპიტალს, კაპიტალში დამატებითი შენატანებს და დაგროვილ გაუნაწილებელ მოგებას/(ზარალს).

კომპანიის განთავსებული კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრით შეადგენს 4,575 ათას ლარს (1,700 აშშ დოლარი), 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით შეადგენდა - 537 ათას ლარს (200 ათასი აშშ დოლარი), რომელიც შევსებულია ფულადი ფორმით.

კომპანიის დამატებითი შენატანები კაპიტალში:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	80	-	-
არმაზ თავაძე	13	13	2
ავთანდილ იმედაძე	116	116	113
იაგორ კალანდაძე	112	112	112
ალექსანდრე ცისკარიძე	199	199	193
ანდრო მნელაძე	225	225	214
დამატებითი შენატანები კაპიტალში	745	665	634

კომპანიის მენეჯმენტი პასუხისმგებელია კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზნები გახლავთ დაცვა კომპანიის უნარისა, გააგრძელოს მუშაობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის კომპანიამ შეიძლება შეცვალოს მესაკუთრეთათვის დივიდენდების გადახდის ოდენობა, შეიძლება მესაკუთრეებს დაუბრუნოს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

10. სასესხო ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
სესხები ბანკებიდან	17 004	18 576	19 398
სესხები პარტნიორებისგან	249	130	-
სხვა	117	117	117
სასესხო ვალდებულებები	17 370	18 823	19 515
	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოკლევადიანი სესხები	366	247	117
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	689	1 639	1 130
<i>მიღებული სესხების მიმდინარე ნაწილი</i>	<i>1 055</i>	<i>1 886</i>	<i>1 247</i>
გრძელვადიანი სესხები	16 315	16 937	18 267
<i>მიღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილი</i>	<i>16 315</i>	<i>16 937</i>	<i>18 267</i>
სასესხო ვალდებულებები	17 370	18 823	19 515

კომპანიის მიღებული სესხების უმეტეს ნაწილს წარმოადგენს საბანკო სესხი სს „თიბისი ბანკისგან“, კერძოდ, 2019 წელს აიღო სესხი ევროში, სესხის ვადა 10 წელი, წლიური საპროცენტო განაკვეთით 5%. 2020 წელს აიღო სესხი ევროში, სესხის ვადა 12 წელი, წლიური საპროცენტო განაკვეთით 6,3%. კომპანია სესხის კონტრაქტის საფუძველზე სარგებლობდა სამედიცინო პერიოდით 2 წლის მანძილზე, ამ პერიოდში კომპანია იხდიდა ათვისებულ თანხაზე დარიცხულ საპროცენტო გადასახადს, ხოლო შემდგომ დაიწყო სესხის ძირის დაფარვაც. კომპანიამ დამატებით 2021 წლის მაისში აიღო სესხი „თიბისი ბანკისგან“ ლარში (ჯამური თანხა 10,000 ათასი ლარი, სესხის ვადა 11 წელი) წლიური საპროცენტო განაკვეთით 13,75%; სესხის თანადაფინანსების უზრუნველყოფას ახორციელებს სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“.

2024, 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ნაწილი სს „თიბისი ბანკისგან“ მიღებული სესხის უზრუნველყოფაშია გირავნობით დატვირთული.

კომპანიას მიღებული აქვს სესხები დამფუძნებლებისგან, კერძოდ:

- 2023 წელს მიღებულია მოკლევადიანი სესხი - 100,000 ლარის ოდენობით შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისგან, რომელიც დაფარულია 2024 წელს.
- 2024 წელს მიღებულია 219,361 ლარის ოდენობის სესხი, რომლის დაფარვა მოხდა საანგარიშგებო თარიღის შემდგომ, 2025 წელს.
- 2023 წელს კომპანიას ასევე მიღებული აქვს სესხი ალექსანდრე ცისკარიძისგან 10,000 ევროს ოდენობით, რომლის დაფარვა არ მომხდარა. შესაბამისად 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული პირის მიმართ არსებობს სასესხო დავალიანება.

კომპანიას აქვს უსასყიდლოდ მიღებული სესხები იურიდიული პირებისგან. შეთანხმების საფუძველზე გადახდის გრაფიკი არის თავისუფალი.

კოვენანტები: კომპანია ექვემდებარება გარკვეულ პირობებს, რომლებიც დაკავშირებულია სს „თიბისი ბანკი“-სგან აღებულ სესხებთან. ასეთი პირობების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის უარყოფითი შედეგები, მათ შორის სესხების ღირებულების ზრდა და ვალდებულებების შეუსრულებლობის გამოცხადება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ დაურღვევია არცერთი ფინანსური შეთანხმება. ამიტომ, სესხები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი, სახელშეკრულებო დაფარვის თავდაპირველი გრაფიკის საფუძველზე.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	8 289	8 675	7 524
გადასახდელი ხელფასები	1 932	1 888	1 197
საპენსიო დაზღვევის შენატანის ვალდებულება	256	256	255
გადასახდელი გადასახადები	986	1 378	465
სხვა	21	22	85
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11 483	12 218	9 527

12. ამონაგები

	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი სამედიცინო რეალიზაციიდან	21 648	17 990
შემოსავალი სამედიცინო კვლევებიდან	552	275
საიჯარო შემოსავალი	284	196
სხვა შემოსავალი	74	131
სულ ამონაგები	22 558	18 593

კომპანიის ამონაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები. სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი კი, თავის მხრივ, შედგება რამოდენიმე კომპონენტისგან. ესენია:

1. შიდა სტანდარტი - რომლის ღირებულებასაც იხდიან პაციენტები ნაღდი და უნაღდო ანგარიშწორებით;
2. სახელმწიფო დაწესებულებების მიერ დაფინანსებული თანხები - სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო, ა(ა)იპ საქართველოს სოლიდარობის ფონდი, მერიები და გამგეობები;
3. სადაზღვევო კომპანიები (ყველა სადაზღვევო კომპანია);
4. სხვა კონტრაგენტები (სხვადასხვა ორგანიზაციები).

13. ფინანსური ხარჯი (შემოსავალი)

	2024 წელი	2023 წელი
საპროცენტო შემოსავალი	22	16
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(11)	-
საპროცენტო ხარჯი	(1 877)	(2 230)
ლიზინგის საპროცენტო ხარჯები	-	(141)
ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)	(1 866)	(2 355)

კომპანიას ლიზინგით მიღებული ჰქონდა 1,105 ათასი ლარის ღირებულების აქტივი (კერძოდ, სამედიცინო აპარატურა), თუმცა აღნიშნული აქტივი გამოსაყენებლად უვარგისია და კომპანიას ის აღიარებული არ აქვს ძირითად საშუალებებში. კომპანია არ ახორციელებს ვალდებულების დაფარვას მიმწოდებლისთვის, ცალმხრივად შეწყვეტილია ხელშეკრულება მიმწოდებელთან და კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ არც ძირითადი საშუალება და არც ვალდებულება მიმწოდებლის მიმართ არ გააჩნია.

14. საკურსო სხვაობა

2024 წელი

	დადებითი შედეგი	უარყოფითი შედეგი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	(2)	6
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	17	(12)	5
მისაღები სესხები და მასზე დარიცხული პროცენტები	14	-	14
სულ საკურსო სხვაობების მოგება (ზარალი)			
აქტივებიდან:	39	(14)	25
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	77	(148)	(71)
გადასახდელი სესხები	913	(780)	133
სულ საკურსო სხვაობების მოგება (ზარალი)			
ვალდებულებებიდან:	990	(928)	62
სულ	1 029	(942)	87

2023 წელი

	დადებითი შედეგი	უარყოფითი შედეგი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	(3)	(2)
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	6	(6)	-
მისაღები სესხები და მასზე დარიცხული პროცენტები	13	(13)	-
სულ საკურსო სხვაობების მოგება (ზარალი)			
აქტივებიდან:	20	(22)	(2)
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	48	(68)	(20)
გადასახდელი სესხები	688	(943)	(255)
სულ საკურსო სხვაობების მოგება (ზარალი)			
ვალდებულებებიდან:	736	(1 011)	(275)
სულ	756	(1 033)	(277)

15. სხვა ხარჯი

	2024 წელი	2023 წელი
რეკლამის ხარჯი	(101)	(49)
საკანცელარიო ხარჯი	(145)	(44)
სამეურნეო ხარჯი	(213)	(185)
ტექნიკურ-სამეურნეო ხარჯი	(217)	(366)
დაცვის ხარჯი	(4)	(3)
კომუნიკაციის ხარჯი	(49)	(42)
კომუნალური ხარჯი	(842)	(839)
საკონსულტაციო ხარჯი	(343)	(383)
რემონტის ხარჯი	(69)	(269)
უიმედო ვალების ჩამოწერა	(58)	-
ბანკის საკომისიო	(126)	(65)
სხვადასხვა	(70)	(189)
სულ სხვა ხარჯი	(2 237)	(2 434)

16. არასაოპერაციო ხარჯი (შემოსავალი)

	2024 წელი	2023 წელი
მს რეალიზაციიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	-	(2)
სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მიღებული დაფინანსება	406	1 245
ვალის პატივით მიღებული შემოსავალი	-	(18)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	174	222
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(149)	(110)
არასაოპერაციო ხარჯი (შემოსავალი)	431	1 339

17. ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილ ფულადი ნაკადებთან – სესხები და პროცენტები

ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	18 823
--	---------------

ფულადი ნაკადებით მიღებული ცვლილება:	(3 196)
მიღებული სესხები	219
სესხების დაფარვა	(1 539)
გადახდილი პროცენტები	(1 876)
არაფულადი ცვლილება:	1 744
დარიცხული პროცენტები	1 877
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	(133)
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17 370

ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	18 823
--	---------------

ფულადი ნაკადებით მიღებული ცვლილება:	(3 196)
მიღებული სესხები	1 031
სესხების დაფარვა	(2 351)
გადახდილი პროცენტები	(1 876)
არაფულადი ცვლილება:	1 744
დარიცხული პროცენტები	1 877
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	(133)
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17 370

18. შესადარისი პერიოდის ცვლილებები

კომპანიამ 2024 წლის 30 დეკემბერს წარადგინა 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება, თუმცა შემდგომ მოახდინა ცვლილებების შეტანა აღნიშნული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში. ცვლილებები შესწორებულ იქნა 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლის შესწორებით წინა პერიოდში.

შპს პინეო სამედიცინო ეკოსისტემა
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	რეკლასიფიკაციით ან/და კორექტირებით გამოწვეული ცვლილებების გავლენა წარდგენილი		რეკლასიფიკაცია		გადასინჯული	
	31.12.2023	31.12.2022	31.12.2023	31.12.2022	31.12.2023	31.12.2022
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი						
საკუთარი კაპიტალი						
სხვა კაპიტალი	1 202	1 172	(1 202)	(1 172)	-	-
განთავსებული კაპიტალი	-	-	537	537	537	537
დამატებითი შენატანები კაპიტალში	-	-	665	635	665	635
სულ საკუთარი კაპიტალი	1 202	1 172	-	-	1 202	1 172

19. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასებითი ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. გამოყენებული შეფასებითი ტექნიკა არის დისკონტირებული ფულადი საშუალებების მოძრაობის მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალში ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების ფულადი საშუალებების მოძრაობის საფუძველზე, რომელთა დისკონტირება ხდება ანგარიშგების დღეს პროცენტის საბაზრო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

20. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აზრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აანალიზებს რისკების ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი ;

- ლიკვიდურობის რისკი ;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას საწარმოს მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი):

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორცაა სესხი, მცოდავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

შპს პინეო სამედიცინო ეკოსისტემა
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	31.12.2024			სულ
	EUR	USD	CNY	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	12	4	26
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	86	172	-	258
მისაღები პროცენტები	-	173	-	173
გაცემული სესხები	-	105	-	105
აქტივები სულ:	96	462	4	562
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(514)	(439)	-	(953)
მიღებული სესხები	(29)	(2 682)	-	(2 711)
ვალდებულებები სულ:	(543)	(3 121)	-	(3 664)
ნეტო შედეგი	(447)	(2 659)	4	(3 102)
EUR (10% ცვლილება)	(45)			
USD (10% ცვლილება)	(266)			
CNY (10% ცვლილება)	0			
	31.12.2023			სულ
	EUR	USD	CNY	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	3	-	16
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	24	14	-	38
მისაღები პროცენტები	-	155	-	155
გაცემული სესხები	-	101	-	101
აქტივები სულ:	37	273	-	310
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(468)	(362)	-	(830)
მიღებული სესხები	(30)	(8 790)	-	(8 820)
ვალდებულებები სულ:	(498)	(9 152)	-	(9 650)
ნეტო შედეგი	(461)	(8 879)	-	(9 340)
EUR (10% ცვლილება)	(46)			
USD (10% ცვლილება)	(888)			
CNY (10% ცვლილება)	-			
	31.12.2022			სულ
	EUR	USD	CNY	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	3	-	3
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	35	26	-	61
მისაღები პროცენტები	-	146	-	146
გაცემული სესხები	-	101	-	101
აქტივები სულ:	35	719	-	754
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(196)	(172)	-	(368)
მიღებული სესხები	-	(9 398)	-	(9 398)
ვალდებულებები სულ:	(196)	(9 570)	-	(9 766)
ნეტო შედეგი	(161)	(8 851)	-	(9 012)
EUR (10% ცვლილება)	(16)			
USD (10% ცვლილება)	(885)			
CNY (10% ცვლილება)	-			

21. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

განხორციელებული ტრანზაქციები პარტნიორებთან
და ძირითად მენეჯმენტთან

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2024	დაუფარავი ნაშთი 31.12.2023	დაუფარავი ნაშთი 31.12.2022	ტრანზაქციის დირექტული 2024 წელი	ტრანზაქციის დირექტული 2023 წელი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	4	5		
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	5	5		
გადასახდელი ხელფასები	133	176	90		
მიღებული სესხები და დარიცხული პროცენტები	249	130	-		
ხელფასის ხარჯები				(667)	(829)

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან	დაუფარავი ნაშთი 31.12.2024	დაუფარავი ნაშთი 31.12.2023	დაუფარავი ნაშთი 31.12.2022	ტრანზაქციის დირექტული 2024 წელი	ტრანზაქციის დირექტული 2023 წელი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	18	63	164		
გადახდილი ავანსები	-	1	443		
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	773	1 205	879		
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	-	255	248		
მიღებული სესხები და დარიცხული პროცენტები	-	117	117		
შემოსავალი რეალიზაციიდან				-	1
სხვა საოპერაციო შემოსავლები				54	64
მარაგები				(31)	(402)
ძირითადი საშუალებები				(1)	(764)
მომსახურების ხარჯები				-	(17)
საპროცენტო შემოსავლები				-	9

კომპანიას პარტნიორისგან - შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისგან მიღებული აქვს მოკლევადიანი სესხი, რომელიც დაფარულია ბალანსის შემდგომ პერიოდში; კომპანიას გააჩნია გაცემული სარგებელი (ხელფასი და სხვა) უმაღლესი რგოლის მენეჯმენტისათვის; კომპანიას სხვა დაკავშირებული მხარეებისგან შეძენილი აქვს მარაგები და ძირითადი საშუალებები; გაწეულია მომსახურება; სხვა ტრანზაქციები - არაარსებითია.

22. გაუთვალისწინებელი გარემოებები

სასამართლო დავები

2023 წლის დეკემბერში კომპანიის ერთ-ერთმა კრედიტორმა დაიწყო სასამართლო დავა კომპანიის წინააღმდეგ თანხის დაკისრების თაობაზე. მოსარჩელე მხარე წარმოადგენს მშენებელ კომპანიას, რომელმაც შეასრულა სამშენებლო სამუშაოები კომპანიის ახალი კორპუსის მშენებლობისთვის. დავის საგანს წარმოადგენს კომპანიის მხრიდან მოსარჩელისათვის სამშენებლო სამუშაოებისათვის გადაუხდელი თანხები (4,775 ათასი ლარი) და პირგასამტეხლობები (1649 ათასი ლარი), ჯამური თანხით 6,425 ათასი ლარი. მოსარჩელე მხარემ მოითხოვა კომპანიის უძრავი ქონების გასხვისების აკრძალვა და სანივთო უფლებებით

დატვირთვა (ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №93, საკ. კოდი 01.18.09.006.018; 10551 კვმ), ყადაღის დადება კომპანიის საბანკო ანგარიშებზე (გარდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ანგარიშსწორებისა და შრომის ანაზღაურების ვალდებულების შესრულებისათვის საჭირო გადასახდელ თანხებზე) და კომპანიის კუთვნილ მოძრავ ქონებაზე. კომპანიამ გაასაჩივრა უზრუნველყოფის ის ნაწილი, რომლითაც მოსარჩელე მხარემ ყადაღა დაადო კომპანიის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხას. კომპანიის სარჩელი დაკმაყოფილდა და ყადაღა კომპანიის საბანკო ანგარიშებზე გაუქმდა. 2025 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა დააკმაყოფილა, რასაც არ ეთანხმება მოპასუხე, შესაბამისად კომპანიის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში და მიმდინარე პერიოდისათვის საქმე განიხილება მეორე (სააპელაციო) ინსტანციაში.

23. პირობითი ვალდებულებები

2025 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლომ კომპანიას დააკისრა 6,425 ათასი ლარის გადახდა მოსარჩელე კომპანიის სასარგებლოდ, საიდანაც 4,775 ათასი ლარი წარმოადგენს მიღებული სამუშაოებისათვის გადაუხდელ თანხებს, ხოლო 1,649 ათასი ლარი წარმოადგენს პირგასამტეხლობებს. აღნიშნული ვალდებულება (პირგასამტეხლობის თანხა - 1,649 ათასი ლარი) არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულია და კომპანიას აქვს მოლოდინი იმისა, რომ საჩივარი დაკმაყოფილებული იქნება. აღნიშნული მიზეზის გამო, პირგასამტეხლობის ანარიცხი წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში შექმნილი არ არის.

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 26 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება კომპანიის კაპიტალში ინვესტირების შესახებ, რომლის მიხედვითაც შპს „გრეგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი“ განახორციელებს 500 ათასი აშშ დოლარის ინვესტირებას კომპანიაში. აღნიშნული თანხიდან ნაწილის - 80 ათასი ლარის ინვესტიცია კომპანიამ მიიღო 2024 წელს, ხოლო დარჩენილი ნაწილის - 1,305 ათასი ლარის ინვესტიცია - 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ.

2025 წლის ივნისში კომპანიამ გასცა სესხი დაკავშირებულ კომპანიაზე 617 ათასი ლარის ოდენობით, სესხის ვადა 5 წელი, საპროცენტო განაკვეთი წლიური 9%.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სხვა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იწვევდეს ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების დამატებას, ადგილი არ ჰქონია.

25. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 10 ნოემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა)

ზოგადი ინფორმაცია

შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“ (405064594) დაფუძნდა 2014 წლის 2 ოქტომბერს „შპს პირველი კომპანია“-ს სახელწოდებით, ხოლო 2015 წლის 10 სექტემბერს განახორციელა შერწყმა შპს „შალვა ქორიძის სახელობის სამშობიარო სახლი“-თან.

კომპანიის მესაკუთრეებს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენენ:

ზაზა სინაურიძე - 12.6% (საქართველო),
იაგორ კალანდაძე - 12.6% (საქართველო),
ავთანდილ იმედაძე - 5% (საქართველო),
ალექსანდრე ცისკარიძე - 16% (საქართველო),
ანდრო ძნელაძე - 8% (საქართველო),
არმაზ თავაძე - 15% (საქართველო),
ვილიამ ტომას იქსენი - 5.8% (აშშ),
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი - 20% (საქართველო),
ამარეშ პანდა - 5% (ინდოეთი).

კომპანიის მესაკუთრეებს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენენ:

იაგორ კალანდაძე - 6.7% (საქართველო),
ავთანდილ იმედაძე - 6% (საქართველო),
ალექსანდრე ცისკარიძე - 13.5% (საქართველო),
ანდრო ძნელაძე - 8% (საქართველო),
არმაზ თავაძე - 15% (საქართველო),
ვილიამ ტომას იქსენი - 5.8% (აშშ),
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი - 40% (საქართველო),
ამარეშ პანდა - 5% (ინდოეთი).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეებს წარმოადგენენ:

იაგორ კალანდაძე - 6.7% (საქართველო),
ავთანდილ იმედაძე - 6% (საქართველო),
ალექსანდრე ცისკარიძე - 13.5% (საქართველო),
ანდრო ძნელაძე - 8% (საქართველო),
ვილიამ ტომას იქსენი - 5.8% (აშშ),
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი - 55% (საქართველო),
ამარეშ პანდა - 5% (ინდოეთი).

კომპანიის დირექტორი 31.12.2024 წ. მდგომარეობით და წინამდებარე ანგარიშგების წარდგენის დღისთვის მზია ჯაფარიძე.

ინფორმაცია ბიზნესის შესახებ

შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“ წარმოადგენს მულტიფროფილურ სამედიცინო დაწესებულებას. კომპანია მომხმარებელს უწევს შემდეგი სახის მომსახურებებს:

- ამბულატორიული (რაც გულისხმობს ექიმის კონსულტაციას, სხვადასხვა სახის გამოკვლევებს, ჯანმრთელობის დიაგნოსტიკას)
- ლაბორატორიული (რაც გულისხმობს ნებისმიერი სახის ანალიზის/კვლევის ჩატარება)

შპს პინეო სამედიცინო ეკოსისტემა 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება

- სამეანო (მოიცავს ფიზიოლოგიურ მშობიარობას, საკეისრო კვეთას, ორსულთა პათოლოგიას)
- გინეკოლოგიური (მოიცავს ქირურგიულ და თერაპიულ მიმართულებას)
- უროლოგიური (მოიცავს ქირურგიულ და თერაპიულ მიმართულებას)
- კარდიოლოგიური (მოიცავს ქირურგიულ და თერაპიულ მიმართულებას)
- ტრავმატოლოგიური (მოიცავს ქირურგიულ და თერაპიულ მიმართულებას)
- ზოგადი ქირურგიული (მოიცავს ქირურგიულ და თერაპიულ მიმართულებას)
- ნევროლოგიური (მოიცავს ქირურგიულ და თერაპიულ მიმართულებას)
- ბარიატრიული ქირურგია
- ოფთალმოლოგია
- ონკოლოგია

ორგანიზაციას ასევე გააჩნია გადაუდებელი მიმღები დეპარტამენტი (Emergency), მოზრდილთა და ახალშობილთა რეანიმაცია.

მომხმარებელთა აბსოლიტურ უმრავლესობას წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეები.

ბიზნესის განვითარება

კომპანია საქმიანობას ეწევა მის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ვ.გორგასლის ქუჩა #93 -ში. დაარსებიდან კომპანიამ განვლო განვითარების შემდეგი ეტაპები:

2014-2015 წლებში შერჩეულ და შეძენილ იქნა ქ.თბილისში, გორგასლის #93-ში მდებარე 10551 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობები, საერთო ფართობით 4305,44 კვ.მ, რომელიც მანამდე წარმოადგენდა შპს „შალვა (დავით) ქორიძის სამშობიარო სახლი“-ს საკუთრებას. განხორციელდა შერწყმა.

2015-16 წლებში კაპიტალურად გარემონტდა სრული ინფრასტრუქტურა. ამოქმედდა ლაბორატორია, ახალშობილთა და მოზრდილთა რეანიმაცია. შეძენილ და განახლებულ იქნა სამედიცინო აპარატურა.

2017 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო კარდიოლოგიურმა, ნევროლოგიურმა, ზოგადქირურგიულმა, უროლოგიურმა მიმართულებებმა.

2018 წელს ამოქმედდა ენდოსკოპიური სერვისი. განვლილი პერიოდის განმავლობაში კომპანია მონოპროფილური კლინიკიდან იქცა მულტიფროფილურ სამედიცინო დაწესებულებად, რომელსაც მიენიჭა მე-3 დონის პერინატალური ცენტრის სტატუსი. 2022 წელს კომპანიამ ახალი კორპუსის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ დაამატა ახალი მიმართულებები და სერვისები, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა კლინიკისადმი მომართვიანობა და შემოსავალი.

კონკურენცია

სამედიცინო სერვისის მიმწოდებლებელთა სექტორისთვის დამახასიათებელია ძლიერი კონკურენცია, რასაც განაპირობებს სამედიცინო დაწესებულებების სიმრავლე, შეთავაზებული პროდუქტის ერთგვაროვნება, ასევე ისეთი კომპანიების არსებობა, რომლებიც სამედიცინო მომსახურებასთან ერთად მომხმარებელს სთავაზობს სადაზღვევო მომსახურებას, ხშირ შემთხვევაში კი სამკურნალო საშუალებების (მედიკამენტების და სახარჯი მასალების) იმპორტს და საბითუმო თუ საცალო რეალიზაციას.

კომპანიის ძირითდი კონკურენტები არიან გეოგრაფიულ მდებარეობის გათვალისწინებით შპს „ნიუ ჰოსპიტალსი“ და „საპატრიარქოს კლინიკა“.


კომპანიის კონკურენციასთან გამკლავების ძირითადი მეთოდები გულისხმობს შეთავაზებული მომსახურების მაღალ ხარისხს, კონკურენტულ ფასებს, პაციენტის მართვის და ადმინისტრირების მოქნილ სისტემას, მოქნილი ბიზნეს ფორმატის შექმნის მიზნით ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა, რაც კონკურენტული ბაზრის პირობებში ცვლილებების სწრაფად განხორციელების საშუალებას გვაძლევს.

კონკურენტუნარიანობაზე ასევე დადებითად მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: კომპანიის ბაზარზე არსებული რეპუტაცია, საზოგადოების ისტორიული მეხსიერება (აღნიშნულ შენობაში სამედიცინო დაწესებულება 30 წელზე მეტია ფუნქციონირებს), მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება, მენეჯმენტი და გამოცდილი, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ექიმები, თანამედროვე სამედიცინო აპარატურა და ინფრასტრუქტურა.

სეზონურობა

გამომდინარე ბიზნესის სპეციფიკიდან, კომპანიის შემოსავლები პირდაპირ კავშირშია საზოგადოების მხრიდან მკურნალობის საჭიროებასთან. შესაბამისად არ ახასიათებს მკაცრი სეზონურობა, თუმცა გარკვეული სერვისები, როგორიცაა მაგალითად სამედიცინო მომსახურება და კარდიოლოგია ხასიათდება სეზონურობით. მაგალითად, ზაფხულის პერიოდში ქვეყანაში იმატებს შობადობა, შესაბამისად რეალიზაციის ზრდაზე აისახება. ასევე ზაფხულის პერიოდში განსაკუთრებით იმატებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკი, შესაბამისად ამ პერიოდში კარდიოლოგიური მიმართულება განსაკუთრებით დატვირთულია.

ბიზნეს მოდელი



ზოგადი გარემო და გარე ფაქტორების ზემოქმედება კომპანიის ოპერაციებზე

ძირითადი ფაქტორები მაკროეკონომიკურ გარემოში, რომლებსაც გააჩნიათ ან შეიძლება გავლენა იქონიონ კომპანიის საქმიანობაზე არის:

ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში - ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის ოპერაციებზე. ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებები აისახება მომხმარებელთა ქცევაზე და ამცირებს, ან ზრდის მათ მოთხოვნას სამედიცინო მომსახურებაზე. როდესაც საქართველოს ეკონომიკა განიცდის ვარდნას, მოთხოვნა მცირდება გეგმიურ სამედიცინო მომსახურებებზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებელთა ძირითადი ნაწილი სარგებლობს სახელმწიფოს საყოველთაო დაზღვევით. შესაბამისად საქართველოს მოქალაქისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ღირებულებას ძირითად შემთხვევაში სახელმწიფო ანაზღაურებს. კომპანიის შემოსავლის ძირითადი (70%) დამფინანსებელი სწორედ სახელმწიფო ხაზინაა. ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილება გავლენას ახდენს მომსახურების ანაზღაურების ვადებზე ან დაფინანსების წილის მატება/შემცირებაზე.

გაცვლითი კურსის ცვლილება - სამედიცინო მომსახურების თვითღირებულებაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს იმპორტირებულ პროდუქციას. კომპანია მედიკამენტებს და სახარჯ მასალებს ყიდულობს ადგილობრივი მომწოდებლებისგან, რომლებიც თავის მხრივ იმპორტს ახორციელებენ სხვადასხვა ქვეყნებიდან. შესაბამისად ეროვნული ვალუტის გაუფასურება ან გამყარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თვითღირებულებაზე.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მოკლევადიანი აქტივების ღირებულებამ შეადგინა 6.5 მილიონი ლარი, 2023 წლისთვის შეადგინა 5.2 მილიონი ლარი, 2022 წლისთვის - 5.7 მილიონი ლარი. გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ შეადგინა 25.5 მილიონი ლარი, 2023 წლისთვის 26.3 მილიონი ლარი, 2022 წლისთვის - 26.7 მილიონი ლარი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე ვალდებულებების ღირებულება იყო 12.5 მილიონი ლარი, 2023 წელს - 14.1 მილიონი ლარი, 2022 წელს - 10.8 მილიონი ლარი. რაც შეეხება გრძელვადიან ვალდებულებებს, 2024 წელს მისმა ღირებულებამ შეადგინა 16.3 მილიონი ლარი, 2023 წელს - 16.9 მილიონი ლარი, 2022 წელს - 18.3 მილიონი ლარი.

2024 წლისთვის კომპანიის კაპიტალი შეადგენდა 3.2 მილიონი ლარს, 2023 წელს - 0.5 მილიონ ლარს, 2022 წლისთვის ეს რიცხვი იყო 3.3 მილიონი ლარი.

კომპანიის ამონაგებმა 2024 წელს შეადგინა 22.6 მილიონი ლარი, 2023 წელს - 18.6 მილიონი ლარი

2024 წლის სახელფასო ფონდმა შეადგინა 13.5 მილიონი ლარი, 2023 წელს - 11.3 მილიონი ლარი.

ბიუჯეტში გადასახადების სახით კომპანიას 2024 წელს გადახდილი აქვს 3.22 მილიონი ლარი, 2023 წელს - 1.69 მილიონი ლარი.

სამომავლო გეგმები

ორგანიზაციის მთავარ მიზანს წარმოადგენს საოპერაციო საქმიანობის და რენტაბელობის გაუმჯობესება. რეალიზაციის ზრდა, გაზრდილი პაციენტთა ნაკადის ხარჯზე.

შპს პინეო სამედიცინო ეკოსისტემის სამომავლო გეგმები და ძირითადი მიმართულებებია:

- ახალი სამედიცინო სერვისების დამატება.
- ახალი ფილიალების დამატება როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.
- სამედიცინო ტურიზმი.
- ბაზრის წილის ზრდა.
- მოზიდული ფინანსური რესურსის გაიაფება.
- საბანკო ვალდებულების შემცირება

სტრატეგიული გეგმის ყველა პუნქტი წარმოადგენს კონკრეტულ, დროში განსაზღვრულ ქმედებას.

სწორედ ამ მიმართულებით 2022 წლის მარტიდან კომპანიამ გახსნა ახალი მაღალტექნოლოგიური აპარატურითა და კვალიფიციური პერსონალით აღჭურვილი კორპუსი.რამაც გამოიწვია შემოსავლის 1,5 ჯერ ზრდა.

წარმატების კრიტიკული ფაქტორები

კომპანიის წარმატება დაფუძნებულია რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორზე. ესენია:

- მომხმარებელთა ნდობის მოპოვება და შენარჩუნება.
- საქონლის/მომსახურების მომწოდებლებთან გრძელვადიანი, სტრატეგიული ურთიერთობების დამყარება.
- თვითღირებულების შემცირების მიზნით შიდა რესურსის მაქსიმალური გამოყენება.
- პროფესიონალთა გუნდის ფორმირება, მათ განვითარებაზე ზრუნვა და შენარჩუნება.
- ინფრასტრუქტურის და სამედიცინო აპარატურის მუდმივი გაუმჯობესება.
- ბრენდის პოპულარიზაცია , მისი რეკლამირება.

რისკ-ფაქტორების მიმოხილვა

ორგანიზაციის ოპერაციები დაკავშირებულია გარე რისკებთან , რომელთაც შესაძლოა გავლენა

იქონიონ კომპანიის ოპერაციებზე მატერიალური კუთხით.

კომპანიის წინაშე მდგარი რისკებია:

- საკუთარი კაპიტალის სიმცირე და მაღალი საპროცენტო განაკვეთი - მთავარ გამოწვევად რჩება ჭარბვალიანობა, რაც ასახულია საკმაოდ დიდი მოცულობით საბანკო კრედიტებში. რენტაბელობის ზრდის ხარჯზე კომპანია გეგმავს ვალის ეტაპობრივ შემცირებას, ასევე საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვის გზით არსებული კრედიტების იაფი რესურსით რეფინანსირებას.
- ეროვნული ვალუტის გაუფასურება, რომელიც ავტომატურად გამოიწვევს მედიკამენტებზე და სახარჯ მასალებზე ფასების ზრდას.
- კონკურენცია - მუდმივად მზარდი კონკურენცია. არსებულ ბაზარზე ახალი ორგანიზაციების შემოსავლამ შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ნაკადის კლება, ფასების შემცირება, რაც თვის მხრივ აისახება კომპანიის რენტაბელობაზე.
- სახელმწიფო რეგულაციები - ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემოღებულმა ახალმა რეგულაციებმა შესაძლოა გააძვიროს მომსახურების თვითღირებულება.

ეკონომიკური მდგომარეობა - ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ შესაძლოა გამოიწვიოს მოსახლეობის მხრიდან სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნის კლება, ასევე სადაზღვევო კომპანიების ან სახელმწიფო საყოველთაო დაზღვევის მხრიდან მომსახურების ტარიფების შემცირება.

თუმცა, სამედიცინო სერვისი ხშირ შემთხვევაში არის საჭიროება და არა სურვილი, შესაბამისად მოთხოვნა აღნიშნულ მომსახურებაზე არის მუდმივი. მიუხედავად შეზღუდვებისა, კომპანიამ შეძლო შეძლებისდაგვარად სტაბილურად (-20% შემოსავლის კლება) გაეწეო კრიზისული პერიოდი, რომელიც გაგრძელვდა ორი თვე. უფრო მეტიც, პოსტ კრიზისულ პერიოდში, როცა სიტუაცია დასტაბილურდა, მოთხოვნა სერვისებზე იმაზე მეტად გაიზარდა, ვიდრე პანდემიამდე არსებობდა. ამასთან, კრიზისულ პერიოდში კომპანიამ შემოსავლის კლების პროპორციულად შეამცირა საოპერაციო ხარჯები.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კლინიკის ფუნქცია, როლი და მოთხოვნა სამედიცინო სერვისებზე მაღალია, შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში ფუნქციონირების შეჩერებასთან დაკავშირებული რისკები არ არსებობს.

10 ნოემბერი, 2025 წელი

შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“

დირექტორი

მზია ჯაფარიძე



შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საიდენტიფიკაციო № 211344188. www.tsodnisa.ge ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge
თბილისი 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, IV სართული. ტელ.: 239-33-50, 239-33-69

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემის“ პარტნიორებსა და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემის“ (შემდეგში - „კომპანია“) (კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 405064594) 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ – ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში ვერ მოხერხდა საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების მოპოვება, რომ დაგვედასტურებინა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხის თანხის აღიარების საკითხი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხის ნაშთი შეადგენდა 309 ათას ლარს, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 286 ათას ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 278 ათას ლარს. აღნიშნული სესხის დაფარვის ვადა დამდგარია, თუმცა ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისაგან დასტურის წერილი და ვერც ალტერნატიული გზებით შევძელით აღნიშნული თანხის დადასტურება. ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რამე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ სასესხო მოთხოვნებთან და მასთან დაკავშირებულ ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში ვერ მოხერხდა საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებების მოპოვება, რომ დაგვედასტურებინა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნებში ფიზიკური პირების დავალიანებების აღიარების საკითხი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფიზიკური პირების დებიტორული დავალიანების ნაშთი შეადგენდა 855 ათას ლარს, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 752 ათას ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 517 ათას ლარს. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მესამე მხარისაგან დასტურის წერილი და ვერც ალტერნატიული გზებით შევძელით აღნიშნული თანხის დადასტურება. ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რამე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ სავაჭრო მოთხოვნებთან და მასთან დაკავშირებულ ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის განთავსებული კაპიტალი შეადგენს 4,575 ათას ლარს. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი მოითხოვს, რომ განთავსებული კაპიტალი რეგისტრირებული უნდა იყოს სამეწარმეო რეესტრში, თუმცა კომპანიას არ აქვს ის რეგისტრირებული სამეწარმეო რეესტრში და 2024 წლის 27 დეკემბრის ამონაწერში მითითებული აქვს, რომ არც ნებადართული და არც განთავსებული კაპიტალი განსაზღვრული არ არის. ეს შეუსაბამობა სააღრიცხვო მონაცემებთან არ არის განმარტებული კომპანიის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების „3.1“ განმარტებით შენიშვნაზე, რომელიც ეხება საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპთან დაკავშირებულ განუსაზღვრელობას. ამ შენიშვნაში აღნიშნული გარემოება - კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებების აღმატების ფაქტი მისავე მიმდინარე აქტივებზე, ასევე კომპანიის მიმდინარე პერიოდის ზარალი მიუთითებს განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუმცა, კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მართებულია საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენება, რადგან კომპანია სრულფასოვნად აგრძელებს საოპერაციო საქმიანობას და მომდევნო 12 თვის განმავლობაში არ ემუქრება სამედიცინო საქმიანობის შეწყვეტის საფრთხე. კომპანიის ფუნქციონირებადობა ასევე დასტურდება იმით, რომ 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის უკვე გასულია 10 თვეზე მეტი საანგარიშგებო თარიღიდან და მუშაობა შეუფერხებლად გრძელდება. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას;

ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას;

გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას.

შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
გვერდი 3

აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოადგენს მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობის შესახებ

კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია ამავე საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განხრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი

შპს „ბინეო სამედიცინო ეკოსისტემა“
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
გვერდი 5

მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენილობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი – საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“
საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

10 ნოემბერი 2025 წელი



მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:


- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დამტკიცებულია 2025 წლის 10 ნოემბერს:

დირექტორი



მზია ჯაფარიძე



შპს პინეო სამედიცინო ეკოსისტემა

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022	შენიშვნა
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	25 485	26 250	26 634	4
არამატერიალური აქტივები	52	53	53	
სულ გრძელვადიანი აქტივები	25 537	26 302	26 687	
მოკლევადიანი აქტივები				
გაცემული მოკლევადიანი სესხები	309	286	278	5
მარაგები	1 030	956	881	6
სხვა მიმდინარე აქტივები	12	19	21	
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	4 530	3 698	4 039	7
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	590	254	472	8
სულ მოკლევადიანი აქტივები	6 470	5 213	5 690	
სულ აქტივები	32 008	31 516	32 378	
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი				
განთავსებული კაპიტალი	4 575	537	537	9
დამატებითი შენატანები კაპიტალში	746	665	635	9
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	(2 166)	(727)	2 164	
სულ საკუთარი კაპიტალი	3 154	476	3 336	
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	16 316	16 937	18 267	10
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	16 316	16 937	18 267	
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	1 054	1 886	1 247	10
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	11 483	12 218	9 527	11
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	12 538	14 104	10 774	
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	32 008	31 516	32 378	

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 10 ნოემბერს:

დირექტორი



მზია ჯაფარიძე

თანდართული შენიშვნები მე-12-დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს პინეო სამედიცინო ეკოსისტემა


ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2024 წელი	2023 წელი	შენიშვნა
ამონაგები	22 558	18 593	12
სულ შემოსავალი	22 558	18 593	
შრომის ანაზღაურება	(13 514)	(11 324)	
სამედიცინო საქონელი	(3 871)	(3 281)	
პაციენტების კვების ხარჯი	(371)	(354)	
ცვეთა და ამორტიზაცია	(1 811)	(1 786)	
საექვო ვალუბის ხარჯი	(176)	(118)	
სამედიცინო მომსახურება	(670)	(895)	
ფინანსური ხარჯი (შემოსავალი)	(1 866)	(2 355)	13
საკუროსო სხვაობა	87	(276)	14
სხვა ხარჯი	(2 237)	(2 434)	15
არასაოპერაციო ხარჯი (შემოსავალი)	431	1 339	16
მოგება / (ზარალი) დაბეგვრამდე	(23 997)	(21 484)	
მიმდინარე წლის მოგება / (ზარალი)	(1 439)	(2 891)	
სულ მიმდინარე წლის სრული შემოსავალი / (ზარალი)	(1 439)	(2 891)	

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 10 ნოემბერს:

დირექტორი



მზია ჯაფარიძე

თანდართული შენიშვნები მე-12-დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს პინეო სამედიცინო ეკოსისტემა


ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	განთავსებული კაპიტალი	დამატებითი შენატანები კაპიტალში	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	537	635	2 164	3 336
კაპიტალის ზრდა/(კლება)	-	31	-	31
2023 წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	-	-	(2 891)	(2 891)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	537	665	(727)	476
კაპიტალის ზრდა/(კლება)	4 038	80	-	4 118
2024 წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)	-	-	(1 439)	(1 439)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	4 575	746	(2 166)	3 155

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 10 ნოემბერს:

დირექტორი



მზია ჯავახიძე

თანდართული შენიშვნები მე-12-დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს პინეო სამედიცინო ეკოსისტემა


ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2024 წელი	2023 წელი	შენიშვნა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	20 900	18 013	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(6 817)	(4 967)	
გაცემული შრომის ანაზღაურება	(10 588)	(8 058)	
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(3 220)	(1 685)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(31)	(50)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი/(კლება) საოპერაციო საქმიანობიდან	244	3 253	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა	(1 254)	(1 575)	
სესხების გაცემა	-	(49)	
გაცემული სესხების დაბრუნება	-	49	
მიღებული პროცენტები	13	8	
სხვა შემოსულობანი / განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)	406	1 245	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი/(კლება) საინვესტიციო საქმიანობიდან	(835)	(322)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
შემოსულობანი პარტნიორთა მიერ კაპიტალის ზრდისაგან	4 118	31	
სესხების აღება	219	128	17
სესხების დაფარვა	(1 539)	(1 075)	17
გადახდილი პროცენტები	(1 876)	(2 230)	17
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი/(კლება) საფინანსო საქმიანობიდან	922	(3 146)	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	4	(2)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი/(კლება):	335	(217)	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	255	472	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	590	255	

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025 წლის 10 ნოემბერს:

დირექტორი





მზია ჯაფარიძე

თანდართული შენიშვნები მე-12-დან 35-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა)

ზოგადი ინფორმაცია

შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“ (405064594) დაფუძნდა 2014 წლის 2 ოქტომბერს „შპს პირველი კომპანია“-ს სახელწოდებით, ხოლო 2015 წლის 10 სექტემბერს განახორციელა შერწყმა შპს „შალვა ქორიდის სახელობის სამშობიარო სახლი“-თან.

კომპანიის მესაკუთრეებს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენენ:

ზაზა სინაურიძე - 12.6% (საქართველო),
იაგორ კალანდაძე - 12.6% (საქართველო),
ავთანდილ იმედაძე - 5% (საქართველო),
ალექსანდრე ცისკარიძე - 16% (საქართველო),
ანდრო ძნელაძე - 8% (საქართველო),
არმაზ თავაძე - 15% (საქართველო),
ვილიამ ტომას ივსენი - 5.8% (აშშ),
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი - 20% (საქართველო),
ამარეშ პანდა - 5% (ინდოეთი).

კომპანიის მესაკუთრეებს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენენ:

იაგორ კალანდაძე - 6.7% (საქართველო),
ავთანდილ იმედაძე - 6% (საქართველო),
ალექსანდრე ცისკარიძე - 13.5% (საქართველო),
ანდრო ძნელაძე - 8% (საქართველო),
არმაზ თავაძე - 15% (საქართველო),
ვილიამ ტომას ივსენი - 5.8% (აშშ),
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი - 40% (საქართველო),
ამარეშ პანდა - 5% (ინდოეთი).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეებს წარმოადგენენ:

იაგორ კალანდაძე - 6.7% (საქართველო),
ავთანდილ იმედაძე - 6% (საქართველო),
ალექსანდრე ცისკარიძე - 13.5% (საქართველო),
ანდრო ძნელაძე - 8% (საქართველო),
ვილიამ ტომას ივსენი - 5.8% (აშშ),
შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი - 55% (საქართველო),
ამარეშ პანდა - 5% (ინდოეთი).

კომპანიის დირექტორი 31.12.2024 წ. მდგომარეობით და წინამდებარე ანგარიშგების წარდგენის დღისთვის მზია ჯაფარიძე.

ინფორმაცია ბიზნესის შესახებ

შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“ წარმოადგენს მულტიფროფილურ სამედიცინო დაწესებულებას. კომპანია მომხმარებელს უწევს შემდეგი სახის მომსახურებებს:

- ამბულატორიული (რაც გულისხმობს ექიმის კონსულტაციას, სხვადასხვა სახის გამოკვლევებს, ჯანმრთელობის დიაგნოსტიკას)
- ლაბორატორიული (რაც გულისხმობს ნებისმიერი სახის ანალიზის/კვლევის ჩატარება)

- სამეანო (მოიცავს ფიზიოლოგიურ მშობიარობას, საკეისრო კვეთას, ორსულთა პათოლოგიას)
- გინეკოლოგიური (მოიცავს ქირურგიულ და თერაპიულ მიმართულებას)
- უროლოგიური (მოიცავს ქირურგიულ და თერაპიულ მიმართულებას)
- კარდიოლოგიური (მოიცავს ქირურგიულ და თერაპიულ მიმართულებას)
- ტრავმატოლოგიური (მოიცავს ქირურგიულ და თერაპიულ მიმართულებას)
- ზოგადი ქირურგიული (მოიცავს ქირურგიულ და თერაპიულ მიმართულებას)
- ნევროლოგიური (მოიცავს ქირურგიულ და თერაპიულ მიმართულებას)
- ბარიატრიული ქირურგია
- ოფთალმოლოგია
- ონკოლოგია

ორგანიზაციას ასევე გააჩნია გადაუდებელი მიმღები დეპარტამენტი (Emergency), მოზრდილთა და ახალშობილთა რეანიმაცია.

მომხმარებელთა აბსოლიტურ უმრავლესობას წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეები.

ბიზნესის განვითარება

კომპანია საქმიანობას ეწევა მის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ვ.გორგასლის ქუჩა #93 -ში. დაარსებიდან კომპანიამ განვლო განვითარების შემდეგი ეტაპები:

2014-2015 წლებში შერჩეულ და შეძენილ იქნა ქ.თბილისში, გორგასლის #93-ში მდებარე 10551 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობები, საერთო ფართობით 4305,44 კვ.მ, რომელიც მანამდე წარმოადგენდა შპს „შალვა (დავით) ქორიძის სამშობიარო სახლი“-ს საკუთრებას. განხორციელდა შერწყმა.

2015-16 წლებში კაპიტალურად გარემონტდა სრული ინფრასტრუქტურა. ამოქმედდა ლაბორატორია, ახალშობილთა და მოზრდილთა რეანიმაცია. შეძენილ და განახლებულ იქნა სამედიცინო აპარატურა.

2017 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო კარდიოლოგიურმა, ნევროლოგიურმა, ზოგადქირურგიულმა, უროლოგიურმა მიმართულებებმა.

2018 წელს ამოქმედდა ენდოსკოპიური სერვისი. განვლილი პერიოდის განმავლობაში კომპანია მონოპროფილური კლინიკიდან იქცა მულტიპროფილურ სამედიცინო დაწესებულებად, რომელსაც მიენიჭა მე-3 დონის პერინატალური ცენტრის სტატუსი. 2022 წელს კომპანიამ ახალი კორპუსის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ დაამატა ახალი მიმართულებები და სერვისები, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა კლინიკისადმი მომართვიანობა და შემოსავალი.

კონკურენცია

სამედიცინო სერვისის მიმწოდებლებელთა სექტორისთვის დამახასიათებელია ძლიერი კონკურენცია, რასაც განაპირობებს სამედიცინო დაწესებულებების სიმრავლე, შეთავაზებული პროდუქტის ერთგვაროვნება, ასევე ისეთი კომპანიების არსებობა, რომლებიც სამედიცინო მომსახურებასთან ერთად მომხმარებელს სთავაზობს სადაზღვევო მომსახურებას, ხშირ შემთხვევაში კი სამკურნალო საშუალებების (მედიკამენტების და სახარჯი მასალების) იმპორტს და საბითუმო თუ საცალო რეალიზაციას.

კომპანიის ძირითდი კონკურენტები არიან გეოგრაფიულ მდებარეობის გათვალისწინებით შპს „ნიუ ჰოსპიტალსი“ და „საპატრიარქოს კლინიკა“.


კომპანიის კონკურენციასთან გამკლავების ძირითადი მეთოდები გულისხმობს შეთავაზებული მომსახურების მაღალ ხარისხს, კონკურენტულ ფასებს, პაციენტის მართვის და ადმინისტრირების მოქნილ სისტემას, მოქნილი ბიზნეს ფორმატის შექმნის მიზნით ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა, რაც კონკურენტული ბაზრის პირობებში ცვლილებების სწრაფად განხორციელების საშუალებას გვაძლევს.

კონკურენტუნარიანობაზე ასევე დადებითად მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: კომპანიის ბაზარზე არსებული რეპუტაცია, საზოგადოების ისტორიული მეხსიერება (აღნიშნულ შენობაში სამედიცინო დაწესებულება 30 წელზე მეტია ფუნქციონირებს), მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება, მენეჯმენტი და გამოცდილი, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ექიმები, თანამედროვე სამედიცინო აპარატურა და ინფრასტრუქტურა.

სეზონურობა

გამომდინარე ბიზნესის სპეციფიკიდან, კომპანიის შემოსავლები პირდაპირ კავშირშია საზოგადოების მხრიდან მკურნალობის საჭიროებასთან. შესაბამისად არ ახასიათებს მკაცრი სეზონურობა, თუმცა გარკვეული სერვისები, როგორიცაა მაგალითად სამეანო მომსახურება და კარდიოლოგია ხასიათდება სეზონურობით. მაგალითად, ზაფხულის პერიოდში ქვეყანაში იმატებს შობადობა, შესაბამისად რეალიზაციის ზრდაზე აისახება. ასევე გაზაფხულის პერიოდში განსაკუთრებით იმატებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკი, შესაბამისად ამ პერიოდში კარდიოლოგიური მიმართულება განსაკუთრებით დატვირთულია.

ბიზნეს მოდელი



ზოგადი გარემო და გარე ფაქტორების ზემოქმედება კომპანიის ოპერაციებზე

ძირითადი ფაქტორები მაკროეკონომიკურ გარემოში, რომლებსაც გააჩნიათ ან შეიძლება გავლენა იქონიონ კომპანიის საქმიანობაზე არის:

ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში - ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის ოპერაციებზე. ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებები აისახება მომხმარებელთა ქცევაზე და ამცირებს, ან ზრდის მათ მოთხოვნას სამედიცინო მომსახურებაზე. როდესაც საქართველოს ეკონომიკა განიცდის ვარდნას, მოთხოვნა მცირდება გეგმიურ სამედიცინო მომსახურებებზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებელთა ძირითადი ნაწილი სარგებლობს სახელმწიფოს საყოველთაო დაზღვევით. შესაბამისად საქართველოს მოქალაქისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ღირებულებას ძირითად შემთხვევაში სახელმწიფო ანაზღაურებს. კომპანიის შემოსავლის ძირითადი (70%) დამფინანსებელი სწორედ სახელმწიფო ხაზინაა. ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილება გავლენას ახდენს მომსახურების ანაზღაურების ვადებზე ან დაფინანსების წილის მატება/შემცირებაზე.

გაცვლითი კურსის ცვლილება - სამედიცინო მომსახურების თვითღირებულებაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს იმპორტირებულ პროდუქციას. კომპანია მედიკამენტებს და საბარჯ მასალებს ყიდულობს ადგილობრივი მომწოდებლებისგან, რომლებიც თავის მხრივ იმპორტს ახორციელებენ სხვადასხვა ქვეყნებიდან. შესაბამისად ეროვნული ვალუტის გაუფასურება ან გამყარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თვითღირებულებაზე.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მოკლევადიანი აქტივების ღირებულებამ შეადგინა 6.5 მილიონი ლარი, 2023 წლისთვის შეადგინა 5.2 მილიონი ლარი, 2022 წლისთვის - 5.7 მილიონი ლარი. გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ შეადგინა 25.5 მილიონი ლარი, 2023 წლისთვის 26.3 მილიონი ლარი, 2022 წლისთვის - 26.7 მილიონი ლარი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიმდინარე ვალდებულებების ღირებულება იყო 12.5 მილიონი ლარი, 2023 წელს - 14.1 მილიონი ლარი, 2022 წელს - 10.8 მილიონი ლარი. რაც შეეხება გრძელვადიან ვალდებულებებს, 2024 წელს მისმა ღირებულებამ შეადგინა 16.3 მილიონი ლარი, 2023 წელს - 16.9 მილიონი ლარი, 2022 წელს - 18.3 მილიონი ლარი.

2024 წლისთვის კომპანიის კაპიტალი შეადგენდა 3.2 მილიონი ლარს, 2023 წელს - 0.5 მილიონ ლარს, 2022 წლისთვის ეს რიცხვი იყო 3.3 მილიონი ლარი.

კომპანიის ამონაგებმა 2024 წელს შეადგინა 22.6 მილიონი ლარი, 2023 წელს - 18.6 მილიონი ლარი

2024 წლის სახელფასო ფონდმა შეადგინა 13.5 მილიონი ლარი, 2023 წელს - 11.3 მილიონი ლარი.

ბიუჯეტში გადასახადების სახით კომპანიას 2024 წელს გადახდილი აქვს 3.22 მილიონი ლარი, 2023 წელს - 1.69 მილიონი ლარი.

სამომავლო გეგმები

ორგანიზაციის მთავარ მიზანს წარმოადგენს საოპერაციო საქმიანობის და რენტაბელობის გაუმჯობესება. რეალიზაციის ზრდა, გაზრდილი პაციენტთა ნაკადის ხარჯზე.

შპს პინეო სამედიცინო ეკოსისტემის სამომავლო გეგმები და ძირითადი მიმართულებებია:

- ახალი სამედიცინო სერვისების დამატება.
- ახალი ფილიალების დამატება როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.
- სამედიცინო ტურიზმი.
- ბაზრის წილის ზრდა.
- მოზიდული ფინანსური რესურსის გაიაფება.
- საბანკო ვალდებულების შემცირება

სტრატეგიული გეგმის ყველა პუნქტი წარმოადგენს კონკრეტულ, დროში განსაზღვრულ ქმედებას.

სწორედ ამ მიმართულებით 2022 წლის მარტიდან კომპანიამ გახსნა ახალი მაღალტექნოლოგიური აპარატურითა და კვალიფიციური პერსონალით აღჭურვილი კორპუსი.რამაც გამოიწვია შემოსავლის 1,5 ჯერ ზრდა.

წარმატების კრიტიკული ფაქტორები

კომპანიის წარმატება დაფუძნებულია რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორზე. ესენია:

- მომხმარებელთა ნდობის მოპოვება და შენარჩუნება.
- საქონლის/მომსახურების მომწოდებლებთან გრძელვადიანი, სტრატეგიული ურთიერთობების დამყარება.
- თვითღირებულების შემცირების მიზნით შიდა რესურსის მაქსიმალური გამოყენება.
- პროფესიონალთა გუნდის ფორმირება, მათ განვითარებაზე ზრუნვა და შენარჩუნება.
- ინფრასტრუქტურის და სამედიცინო აპარატურის მუდმივი გაუმჯობესება.
- ბრენდის პოპულარიზაცია , მისი რეკლამირება.

რისკ-ფაქტორების მიმოხილვა

ორგანიზაციის ოპერაციები დაკავშირებულია გარე რისკებთან , რომელთაც შესაძლოა გავლენა

იქონიონ კომპანიის ოპერაციებზე მატერიალური კუთხით.

კომპანიის წინაშე მდგარი რისკებია:

- საკუთარი კაპიტალის სიმცირე და მაღალი საპროცენტო განაკვეთი - მთავარ გამოწვევად რჩება ჭარბვალიანობა, რაც ასახულია საკმაოდ დიდი მოცულობით საბანკო კრედიტებში. რენტაბელობის ზრდის ხარჯზე კომპანია გეგმავს ვალის ეტაპობრივ შემცირებას, ასევე საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვის გზით არსებული კრედიტების იაფი რესურსით რეფინანსირებას.
- ეროვნული ვალუტის გაუფასურება, რომელიც ავტომატურად გამოიწვევს მედიკამენტებზე და სახარჯ მასალებზე ფასების ზრდას.
- კონკურენცია - მუდმივად მზარდი კონკურენცია. არსებულ ბაზარზე ახალი ორგანიზაციების შემოსავლამ შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ნაკადის კლება, ფასების შემცირება, რაც თვის მხრივ აისახება კომპანიის რენტაბელობაზე.
- სახელმწიფო რეგულაციები - ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემოღებულმა ახალმა რეგულაციებმა შესაძლოა გააძვიროს მომსახურების თვითღირებულება.

ეკონომიკური მდგომარეობა - ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ შესაძლოა გამოიწვიოს მოსახლეობის მხრიდან სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნის კლება, ასევე სადაზღვევო კომპანიების ან სახელმწიფო საყოველთაო დაზღვევის მხრიდან მომსახურების ტარიფების შემცირება.

თუმცა, სამედიცინო სერვისი ხშირ შემთხვევაში არის საჭიროება და არა სურვილი, შესაბამისად მოთხოვნა აღნიშნულ მომსახურებაზე არის მუდმივი. მიუხედავად შეზღუდვებისა, კომპანიამ შეძლო შეძლებისდაგვარად სტაბილურად (-20% შემოსავლის კლება) გაეწეო კრიზისული პერიოდი, რომელიც გაგრძელდა ორი თვე. უფრო მეტიც, პოსტ კრიზისულ პერიოდში, როცა სიტუაცია დასტაბილურდა, მოთხოვნა სერვისებზე იმაზე მეტად გაიზარდა, ვიდრე პანდემიამდე არსებობდა. ამასთან, კრიზისულ პერიოდში კომპანიამ შემოსავლის კლების პროპორციულად შეამცირა საოპერაციო ხარჯები.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კლინიკის ფუნქცია, როლი და მოთხოვნა სამედიცინო სერვისებზე მაღალია, შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში ფუნქციონირების შეჩერებასთან დაკავშირებული რისკები არ არსებობს.

10 ნოემბერი, 2025 წელი

შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“

დირექტორი

მზია ჯაფარიძე

